თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ბებო

ისედაც მიტოვებულ სოფელში მიატოვეს ბებო. ვერ მოიცალეს შვილებმა, სამსახურს იმიზეზებდნენ, გაცდენა არაფრით არ შეიძლებაო. ზაფხულში კი შვებულება თითქმის ოთხივემ ერთად აიღო, ოჯახებით აიყარნენ და ზღვაზე წავიდნენ.

მთელი ზაფხული მოლოდინში გაატარა ბებომ. ერთთავად თვალებზე სანთელივით გაყვითლებულ ხელს იჩრდილებდა და გზას გაჰყურებდა.

გზას გასათიბი ბალახი და შამბი მოსდებოდა. დილით ან ნისლიანში ისე იყო ბალახი ცვრით დამძიმებული, წელს ქვემოთ უცებ დასველდებოდი.

ბებოს იმედი ჰქონდა, რომ ადრე თუ გვიან გამოჩნდებოდნენ მისი შვილები, რძლები და შვილიშვილები, ამიტომ თადარიგს იჭერდა. ნისლიან ამინდში რამდენიმეჯერ აივლ-ჩაივლიდა გზაზე. თან ჯოხით ცვრიან ბალახს ბერტყავდა, რომ „ქალაქელები“ არ ჩაელპო (ასე ეძახდა თავის შვილებს).

სახინკლე ხორციც რამდენჯერ გაამზადა წინასწარ. სიზმარს ნახავდა ხოლმე, რომ ყველანი სახლში იყვნენ. დილაუთენია წამოდგებოდა ლოგინიდან ბებო, შვილიშვილებისთვის საგულდაგულოდ ჭინჭრის ფოთლებში გახვეულ სახინკლე ხორცს კარგად გარეცხავდა, ხანჯლით წვრილად დაკეპავდა და სოფელში გავიდოდა, ერთი-ორი მასავით ბებერი კიდევ იყო ამ სოფელში. იმათთან ჰყვებოდა თავის წუხანდელ სიზმარს.

- დღეს აუცილებლად ვინმე მოგივა, – ეუბნებოდნენ ისინი.

ბებოც მოელოდა. ამაოდ გაჰყურებდა სოფლის გზას.

გულმოკლული ბებო ხინკალს ახვევდა. თვითონ ისე შეკვროდა მოლოდინით გული, ლუკმასაც ვერ შეჭამდა. მაგრამ ამდენ ხანს ნალოლიავებ ხინკლის გულს ისე ხომ არ გააფუჭებდა. ზაფხულობით იმათ მთებში ცხვრის ფარები იდგა და სახინკლე ხორცს ხან რომელი მწყემსი უწყალობებდა ბებოს, ხან – რომელი.

დუღდა ხინკლიანი ქვაბი. ნაღველი დუღდა ბებოს გულში. მერე ხონჩაზე ამოყრილ ხინკლებს ორთქლი ასდიოდა. მთელი სოფელი იმ ერთ პატარა ხონჩას

LIVEWORKSHEETS

შემოსხდომოდა და მაინც, კიდევ იყო სტუმრისთვის ადგილი დარჩენილი. ბებო ჩქარ-ჩქარა გადიოდა გარეთ და ღამეს აყურადებდა. მოსვლით კი მაინც არავინ მოდიოდა.

ნელ-ნელა იწურებოდა ზაფხული. ძლივს თიბავდა ბებო ბალახს. მუხლებშიც ძალა აღარ ედგა.

შემოდგომა რომ დადგა, ტყეში გავიდა. შვილიშვილებისათვის თხილს და ძახველს კრეფდა.

ოქტომბრის ბოლოს აურია ცოტა. ბებო შეაშფოთა ამინდის გაჭირვეულებამ, საზამთრო შეშაზე დაიწყო ფიქრი. ახლა უკვე შვილების მოუსვლელობაზე კი არ დარდობდა იმდენად, ალბათ ვინმეს რამე უჭირსო. ის უხეთქავდა გულს.

- სად წავიდე, როგორ წავიდე, რო ესეთი საპყარი ვარ და ქალაქის გზაც არ ვიცი, – მეზობლებს შესჩიოდა ბებო.

დამოკლდა დღე და გაგრძელდა უძილო ღამეები. ზამთრის სუნი დატრიალდა ჰაერში.

უშეშოდ დარჩენილს ზამთრის მოახლოების შეეშინდა. ჯერ კი მაინც იმედი ჰქონდა. გზას გაჰყურებდა.

იმ ღამით ისეთი თოვლი მოსულიყო, სოფელში მისასვლელი გზაც კი აღარ ჩანდა. უშეშოდ დარჩა ბებო. თითქმის ორ კვირამდე ითოვა ასე. მეზობლების მიმოსვლა შეწყდა. ეძებდა შეშის ნარჩენებს და იმით ანთებდა ცეცხლს. რომ გამოიდარა, მზე გამოჩნდა. ცოტა დათბა. აგუგუნდნენ ზვავები.

ფიქრობდა. ღმერთმა იცის, რაზე ფიქრობდა. იქნებ შვილებზე. იქნებ რომელიმე დღე ახსენდებოდა თავისი ბალღობიდან. იქნება სულაც სხვა რამეზე ფიქრობდა ბებო, მაგრამ რაზეც არ უნდა ფიქრობდნენ სიბერეში ბებოები, შვილიშვილების სახე მაინც ერთთავად თვალწინ უდგათ.

ჰოდა ფიქრობდა ბებო. დღე კი ილეოდა. შუაღამისას რაღაც საშინელმა ხმაურმა გამოაღვიძა. მიწისძვრას დააბრალა ბებომ ეს ამბავი.

ცოტა ხანში გარემო ჩაჩუმდა. ისევ ჩასთვლიმა. დილით მამალმა გააღვიძა.

გაოცებისგან კარგა ხანს ერთ ადგილას იდგა: მის ეზოში უზარმაზარი წიფლის ხე თითქმის დაეფარა ზვავს და მის კენწეროზე მამალი ყიოდა. ეტყობა, ზვავს საქათმე მოეგლიჯა და უსახლკაროდ დარჩენილ მამალს ამ წიფლის ხეზე შეეხიზნა თავისი ოჯახი მელიის შიშით. ბებო გაოცებას ვერ ფარავდა: ამდენი ხანი ამ სოფელში ცხოვრობდა და არასოდეს ენახა აქ ზვავი.

LIVEWORKSHEETS

ბებომ საკენკი დაუყარა ქათმებს და ისინიც რიგ-რიგობით ჩამოფრინდნენ ძირს.

რაღაცა უხაროდა ბებოს. ის-ის იყო ძროხების გამოშვება დააპირა მზეზე, რომ უცებ სახეგაბრწყინებული მიაჩერდა ეზოს კარებს. ეზოში ხმაურით შემოვიდა მისი ოთხივე ბიჭი.

ასეთი დიდი სიხარულის განცდა ბებოს არასოდეს არ ჰქონია.

მამალი კი ხის კენწეროზე იჯდა და მხოლოდ მაშინღა იკადრა ძირს ჩამოსვლა, როცა ბიჭებმა ქურქები გაიხადეს და მოსაჭრელად მიადგნენ წიფელს.

რაღაცით სჯობდა ის დღე მოლოდინით ფერმკრთალ დღეებს.

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. **რას ვიგებთ მოთხრობის დასაწყისიდან?**

   ა) რა საწუხარი აქვს ბებოს.
   ბ) რას საქმიანობენ ბებოს შვილები.
   გ) რას საქმიანობს ბებო სოფელში.

2. **„ერთთავად თვალებზე სანთელივით გაყვითლებულ ხელს იჩრდილებდა". რა მხატვრული სახეა მოცემულ წინადადებაში?**

   ა) ეპითეტი. ბ) შედარება. გ) ჰიპერბოლა.

3. **რომელ წინადადებაში ჩანს უკეთ, თუ როგორ დარდობდა მოხუცი?**

   ა) „ბებო ჩქარ-ჩქარა გადიოდა გარეთ და ღამეს აყურადებდა".
   ბ) „დილაუთენია წამოდგებოდა ლოგინიდან ბებო".
   გ) „ნაღველი დუღდა ბებოს გულში".

4. **რაზე მეტყველებს, რომ სოფლის გზას გასათიბი ბალახი და შამბი მოსდებოდა?**

   ა) ბებოს აღარ შეეძლო თიბვა.
   ბ) სოფელი თითქმის დაცლილიყო.
   გ) სოფელში შამბი კარგად ხარობდა.

LIVEWORKSHEETS

5. ,,ბებოს იმედი ჰქონდა, რომ ადრე თუ გვიან გამოჩნდებოდნენ მისი შვილები, რძლები და შვილიშვილები, ამიტომ თადარიგს იჭერდა. რას ნიშნავს ხაზგასმული ფრაზეოლოგიური გამოთქმა?

ა) გულს იმაგრებდა.

ბ) თვალი გზაზე ეჭირა.

გ) წინასწარ ემზადებოდა.

6. რაზე მეტყველებს ის, რომ ბებო სიზმრად ხედავდა მასთან მისულ შვილიშვილებს?

ა) მარტო დარჩენილი ძალიან დარდობდა შვილების ოჯახსა და სამსახურზე.

ბ) მარტო დარჩენილს ძალიან უნდოდა ყველა შვილს მის სოფელში დაედო ბინა.

გ) მიტოვებულ სოფელში მარტო დარჩენილს ძალიან ენატრებოდა შვილები.

7. რომელ წინადადებაშია ფრაზეოლოგიური გამოთქმა?

ა) „ბებო ჩქარ-ჩქარა გადიოდა გარეთ და ღამეს აყურადებდა."

ბ) „ბებოც მოელოდა, ამაოდ გაჰყურებდა სოფლის გზას."

გ) „ისე შეკვროდა მოლოდინით გული, ლუკმასაც ვერ შეჭამდა."

8. „მთელი სოფელი იმ ერთ პატარა ხონჩას შემოსხდომოდა." რას ნიშნავს აქ სიტყვა ხონჩა?

ა) ხის გრძელი სკამი.

ბ) ხის მოზრდილი თეფში.

გ) ხის პატარა მაგიდა.

9. რატომ ვერ მიდიოდა ბებო ქალაქში შვილიშვილებთან?

ა) ბებო დაუძლურებული იყო, თან ქალაქის გზა არ იცოდა.

ბ) ბებოს არ შეეძლო თანასოფლელების მარტო დატოვება.

გ) შემოდგომის დადგომისთანავე ზამთრის შეშაზე ზრუნავდა.

LIVEWORKSHEETS

10. რატომ შეწყდა მეზობლების მიმოსვლა?

ა) ზამთრის უძილო ღამეებმა მოხუცები დააუძლურა.

ბ) ზვავის ჩამოწოლის საშიშროება იყო.

გ) ძალიან დიდი თოვლი მოვიდა.

11. „ბებო გაოცებას ვერ მალავდა", - წერს ავტორი. რა იყო ამის მიზეზი?

ა) ზვავს წიფლის ხე მოეგლიჯა.

ბ) იმ სოფელში ზვავი არასოდეს ენახა.

გ) მამალი წიფლის კენწეროზე ყიოდა.

12. „რაღაცა უხაროდა მოხუცს," - წერს ავტორი. რა იყო ამ სიხარულის მიზეზი?

ა) გრძნობდა, რომ შვილები აუცილებლად მიაკითხავდნენ.

ბ) მისი სახლ-კარი, მამლები და ქათმები ზვავს რომ გადაურჩნენ.

გ) სიცოცხლეში პირველად ზვავის ნახვის საშუალება რომ მიეცა.

13. რამ გაახარა ბებო ზამთრის ერთ დილას?

ა) გამოიდარა, მზე გამოჩნდა და ცოტა დათბა.

ბ) ეზოში ხმაურით შემოვიდა მისი ოთხივე ბიჭი.

გ) წიფლის კენწეროზე მამალი იჯდა და ყიოდა.

14. შვილების მოლოდინში გატარებულ დღეებს მწერალმა უწოდა:

ა) ნისლიანი. ბ) ფერმკრთალი. გ) ჭირვეული.

15. რა არის ამ მოთხრობის მთავარი სათქმელი?

ა) მოხუც მშობლებზე ზრუნვა შვილების მთავარი მოვალეობა უნდა იყოს.

ბ) ყველა მშობელი ვალდებულია შვილს ანგარიში გაუსწოროს.

გ) ყველას მთავარი საზრუნავი მიტოვებული სოფლების აღორძინება უნდა იყოს.

1. ისეთი **ხვატი** იყო, სუნთქვა ჭირდა. აქ სიტყვა <u>**ხვატი**</u> ნიშნავს:

ა) ბუღს. ბ) ოხშივარს. გ) პაპანაქებას.

LIVEWORKSHEETS

2. ეს დავალება ჩემთვის ნამდვილი **რებუსი** აღმოჩნდა. აქ სიტყვა **<u>რებუსი</u>** ნიშნავს:

   ა) გამოცდას. ბ) გასართობს. გ) თავსატეხს.

3. ზოგ ადამიანს **წყალწყალა** ლაპარაკი უყვარს. აქ სიტყვა **<u>წყალწყალა</u>** ნიშნავს:

   ა) უადგილოს. ბ) უაზროს. გ) უხეშს.

4. მოხუცი **დამზრალი** ხელების გათბობას ცდილობდა. აქ სიტყვა **<u>დამზრალი</u>** ნიშნავს:

   ა) გამხდარს. ბ) გაყინულს. გ) დანაოჭებულს.

5. პეტერბურგის ზაფხულის ბაღს **უზადო** ქანდაკებები ამშვენებს.
   აქ სიტყვა **<u>უზადო</u>** ნიშნავს:

   ა) გრანდიოზულს. ბ) უნაკლოს. გ) უძველესს.

6. წრუწუნა **გაიცქნაფა**, მერე მოკურცხლა და სოროში შეძვრა.
   აქ სიტყვა **<u>გაიცქნაფა</u>** ნიშნავს:

   ა) აწრიპინდა. ბ) გაიტრუნა. გ) შეშინდა.

LIVEWORKSHEETS